



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა



N 85
29/12/2017

85-04-4-201712291520



ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-13 მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმია, თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დანართი N1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს ლევან გორგილაძეს.
4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქედის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა

2018-2022 წლებისათვის

2017 წელი

ნაწილი 1 - რეზიუმე

1.1 დაგეგმვის საფუძველი

საქართველოს კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც 2015 წლის იანვარში იქნა მიღებული, განსაზღვრავს, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა (რომლებიც ამ ეტაპზე პასუხისმგებელი არიან და მომავალშიც, სავარაუდოდ, პასუხისმგებელი დარჩებიან მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებაზე) უნდა შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ყოვლისმომცველი გეგმები, რომლებიც გამიზნული უნდა იყოს მუნიციპალიტეტების ფუნქციების გაუმჯობესებაზე ნარჩენების მართვის სფეროში.

აღნიშნული ნარჩენების მართვის გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ნარჩენების მართვის იერარქიას და “ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს. კერძოდ, საუბარია შემდეგ პრინციპებზე: „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი“, „დამბინძურებელი იხდის“, „სიახლოვის პრინციპი“ და „თვითუზრუნველყოფის პრინციპი“.

ამ კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” მიხედვით, ასეთი გეგმები უნდა მოიცავდეს 5-წლიან პერიოდს, და უნდა შეესაბამებოდეს 2016–2013 წლების ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიისა და 2016–2020 წლების ნარჩენების მართვის ეროვნულ სამოქმედო გეგმას. აღნიშნული მუნიციპალური გეგმები ასევე უნდა თანხვდებოდეს ნარჩენების მართვის სხვა სახელმწიფოებრივ ინიციატივებს ნარჩენების კონკრეტული ნაკადების

მიმართ, მათ შორის, სულ მცირე – მდგრადი ორგანული დამბინძურებლების, ვერცხლისწყლის, სამედიცინო და ცხოველური წარმოშობის ნარჩენების და აზბესტის მიმართ.

1.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი

ქედის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის დაგეგმვა ნარჩენების ინტეგრირებული მართვის თანამედროვე პრინციპებისა და მიდგომების მიხედვით. აღნიშნული გეგმის მიზანია ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი სერვისის მიწოდებას.

დამატებით, აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივ დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებას, აღდგენის პროცესების ხელშეწყობის მიზნით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის 2016–2013 და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2016–2020 მიზნებისა და ამოცანების მიღწევას მუნიციპალურ დონეზე.

წინამდებარე გეგმა მომზადებულია საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად და მასში წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს 2016 წლისათვის ქედის მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს.

1.3 გეგმის შემუშავების პროცესი

ქედის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება განხორციელდა მუნიციპალიტეტში შექმნილი ჯგუფის მიერ, (ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე, მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სულიკო სურმანიძე და შპს ქედის „კომუნალურსერვისი“-ს დირექტორი მალხაზ სურმანიძე). სამსახურების SAID-ის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR) პროგრამის ფარგლებში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებული *მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების სახელმძღვანელო დოკუმენტის* საფუძველზე.

გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან ქედის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმებისა და მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით განხორციელდა საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ ჯგუფებთან.

გეგმის შემუშავების პროცესში ასევე განხორციელდა საკონსულტაციო შეხვედრები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან.

1.4 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას და ტრანსპორტირებით გატანას ახდენს მუნიციპალური შპს ქედის „კომუნალურსერვისი“.

შპს ქედის „კომუნალურსერვისი“ ახდენს მომსახურების მიწოდებას მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, კომერციულ ობიექტებსა და კომპანიებზე.

ნარჩენების შეგროვების პროცესის მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახური.

1.5 სხვადასხვა ალტერნატივების მიმოხილვა

ევროპის წამყვან ქვეყნებში დღეს არსებული უახლესი მიდგომები მიმართულია ცირკულარული ეკონომიკის შექმნისაკენ, სადაც მეორადი გამოყენება და რეციკლირება ნორმას წარმოადგენს და „ნარჩენი“ როგორც ასეთი მოძველებული ცნებაა.

ნარჩენების მართვაში დღეს არსებული სისტემები წარმოადგენენ სისტემებს, რომლებსაც მინიმუმადე დაყავთ ნარჩენების განთავსება ნაგავსაყრელებზე და მაქსიმალურად ზოგავენ ნედლეულს. ეს სისტემები საშუალებას გვაძლევს შევცვალოთ ეკონომიკური მამოძრავებელი ძალები ისე რომ, მათ გარემოზე ზიანის ნაცვლად სარგებელი მოუტანონ გარემოს და ასევე, გააუმჯობესოს სიცოცხლის ხარისხი.

არსებული რეგულაციები და მიზნობრივი ამოცანები გადამწვეტ მამოძრავებელ ფაქტორებს წარმოადგენდა ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისათვის, რომელთა საშუალებითაც მოხდა ინოვაციის სტიმულირება რეციკლირების და ხელმეორედ გამოყენების ფართოდ დანერგვისათვის, ნაგავსაყრელზე განთავსების შეზღუდვა და რესურსების გამოყენების შემცირება და შეიქმნა სტიმულები მომხმარებლის ქცევის შეცვლისთვის. თუმცა, ევროკავშირი ჯერ კიდევ ერთ სულზე საშუალოდ 5 ტონა ნარჩენს წარმოქმნის წელიწადში, რომლის მესამედზე ცოტა მეტი რეციკლირდება ეფექტიანად. შესაბამისად, ევროკავშირი ახდენს პოლიტიკის და სამიზნე ამოცანების შემდგომ მოდერნიზებას, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის შემცირებას; ნარჩენების გადაქცევას ევროკავშირის რესურსების ძირითად, სტაბილურ წყაროდ; ენერჯის აღდგენას მხოლოდ არა-რეციკლირებადი ნარჩენებიდან და ნაგავსაყრელების პრაქტიკულად აღმოფხვრას. ნარჩენების პოლიტიკის შემდგომ ეტაპზე გადასვლა მნიშვნელოვან სარგებელს მოიტანს ეკონომიკური ზრდის და სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით, უდანახარჯოდ ან უმნიშვნელო დანახარჯების სანაცვლოდ, იმავდროულად კი წვლილს შეიტანს უკეთესი გარემოს შექმნაში.

1.6 შედეგებისა და რეკომენდაციების მიმოხილვა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა აწარმოოს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების არღივხვა და შექმნას შესაბამისი ბაზა.

ეფექტიანი მომსახურების მიწოდებისათვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ყველა სოფელის აღჭურვა საკმარისი რაოდენობის ნარჩენების შეგროვების ურნებით, იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მომსახურება ნარჩენების შეგროვების კონტენირებული სისტემა ფუნქციონირებდეს. დამატებით აუცილებელია ავტოპარკის განახლება ნარჩენების შეგროვების თანამედროვე ტექნიკით, საუბარია მცირეგაბარიტიან მაღალი გამავლობის სპეციალტექნიკის შეძენაზე.

მომსახურების ოპტიმიზაციის მიზნით, აუცილებელია ნარჩენების შეგროვების მარშრუტების ოპტიმიზაცია სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოხდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს ქალაქსა და პლასტიკზე. კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვასთან ერთად.

1.7 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია

ქედის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერია; კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ზედამხედველობის სამსახურები, შპს ქედის „კომუნალურსერვისი“.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების ყოველ ეტაპზე მოხდება თანამშრომლობა და აქტივობების კოორდინირება მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან.

მუნიციპალიტეტში გამოიყო სამი თანამშრომელი, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავება.

ნაწილი 2 - შესავალი და არსებული მდგომარეობა

2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები

საქართველოში ნარჩენების მართვა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის პასუხისმგებლობაა.

ნარჩენების მართვის ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე, მის განხორციელებასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

არასახიფათო ნაგავსაყრელების ფუნქციონირებაზე, როგორც მათ მშენებლობაზე, ისე ფუნქციონირებასა და დახურვაზე, ასევე, გადამტვირთი სადგურების მშენებლობასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო¹ კერძოდ, სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ არსებული შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ მთავრობებს, რომლებიც, კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად პასუხისმგებელი არიან ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე. კერძოდ, საუბარია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე და ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე თავიანთი ადმინისტრაციული ტერიტორიების ფარგლებში.

¹

კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი”² თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობები ვალდებული არიან შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები. კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის როგორც შინაარსს, ისე მინიმალურ ამოცანებს (იხ. ქვემოთ, გრაფაში წარმოდგენილი ტექსტი კანონით განსაზღვრული კონკრეტული მოთხოვნების შესახებ).

მუხლი 13. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

1. თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს საკუთარ ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა შესაძლოა შემუშავდეს მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივად.
2. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ გეგმას და ამ კოდექსის მე-12 მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრულ სხვა გეგმებს.
3. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიღებამდე უნდა გაიმართოს საჯარო განხილვები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული პირები და მოსაზღვრე მუნიციპალიტეტები. საჯარო განხილვები უნდა მოაწყოს შესაბამისმა მუნიციპალიტეტ(ებ)მა.
4. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს:
 - ა) ინფორმაციას მოსახლეობისგან ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შესახებ;
 - ბ) მონაცემებს შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული არასახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;
 - გ) მონაცემებს მოსახლეობისგან შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;
 - დ) ნარჩენების დამუშავების საწარმოების ადგილმდებარეობას;
 - ე) ინფორმაციას მუნიციპალური ნარჩენების, მათ შორის ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და შეფუთვის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და აღდგენის სისტემის დანერგვის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
 - ვ) ნარჩენების დამუშავების ახალი ობიექტების მშენებლობის გეგმებს;
 - ზ) ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამებს;
 - თ) ნარჩენების მართვის სფეროში სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის არსებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს;
 - ი) გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელების გზებს და ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, სავარაუდო ხარჯებს და დაფინანსების წყაროებს;

წყარო: საქართველოს კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი “

კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის დანერგვა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების აღდგენის პროცესებს. კანონი განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების ზოგად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც

ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ შეიქმნას სირთულეები მათი შემდგომი აღდგენის მხრივ. ამასთანავე, კანონი მოითხოვს, რომ მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდეს, ტრანსპორტირებული იქნას და დამუშავდეს იმ წესით, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს გარემოს დაზინძურებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების რისკს.

კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი” კრძალავს ნარჩენების ყოველგვარ უკანონო განთავსებას, ანუ განთავსებას ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების გარეთ და ნარჩენების შესაგროვებელი პუნქტების გარეთ. ამ მოთხოვნის შესასრულებლად, მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ დამნაგვიანებელ პირებს ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო თუ ასეთი პირების იდენტიფიცირება შეუძლებელია, მაშინ დანაგვიანებული ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება დაეკისრება თავად ტერიტორიის მესაკუთრეს. თუ ტერიტორია ეკუთვნის მუნიციპალიტეტს, მაშინ ნარჩენებისაგან მის გასუფთავებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი” ასევე ითვალისწინებს, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმებში განსაზღვრული იყოს საშუალებები, რომლებიც გაზრდიან ნარჩენების რეციკლირებისა და აღდგენის დონეს მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული მუნიციპალური პროგრამების მეშვეობით. ეს შეიძლება მოიცავდეს მათ შორის ნარჩენების აღდგენის პროცესის ხარჯ-ეფექტიანობისაკენ მიმართულ რეგიონულ ინიციატივებს.

2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

ქედის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვითმმართველ ერთეულს, რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრება ქობულეთის, დასავლეთით – ხელვაჩაურისა და აღმოსავლეთით შუახევის მუნიციპალიტეტები. სამხრეთ ნაწილში კი – შავშეთის ქედზე გადის საქართველო–თურქეთის სახელმწიფო საზღვარი. ქედის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ზღვის დონიდან 200- 400 მეტრზე

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 452.0 კმ² მოიცავს. ქედის მუნიციპალიტეტში სასოფლო სამეურნეო და საცხოვრებელი დანიშნულებით გამოიყენებოდა 5,067 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რაც შეადგენს მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 12.4%-ს. მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ძირითადად, დაკავებულია ტყეებით (77%), ბუჩქნარებითა (5.3%) და ჯერჯერობთ აუთვისებელი (4%) ტერიტორიებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდ. აჭარისწყლის დიდი ნაწილი (42 კმ.), აღსანიშნავია ასევე მდ. აკავრეთა.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარე აჭარისწყლის ხეობაში გავრცელებულია კოლხური ტიპის მცენარეულობა. ფერდობებზე უხვადაა წიფლნარ-წაბლნარი. კარგადაა განვითარებული ქვეტყე (შქერი, იელი, თხილი, მოცვი, წყავი). დამახასიათებელია გარეული მსხალი, ვაშლი, კაკალი, ბალი, ზღმარტლი, ხურმა, ტყემალი. ზემოთ ვრცელდება შერეული ტყეები და წიწვოვნები, მცირე მონაკვეთზე სუბ-ალპური და ალპური მცენარეულობა.

მდინარე აჭარისწყლის ხეობის გასწვრივ ხმელთაშუა ზღვის ტიპის მსგავსი სუბტროპიკული ჰავაა. ადგილის სიმაღლის მატების შესაბამისად ჰავა ზომიერად ნოტიო ხდება, სადაც ზამთარი ზომიერად თბილია და ზაფხული თბილი. მთების ზედა სარტყლის ზონაში დამახასიათებელია ნოტიო ჰავა, შედარებით ცივი ზამთარი და გრილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 12.8°C, იანვარში 3.4°C, ივლისში 21.2°C;

აბსოლიტური მინიმალური ტემპერატურა – 15.1°C; აბსოლიტური მაქსიმალური ტემპერატურა 42.0°C. ნალექების წლიური რაოდენობა წელიწადში 1,500მმ-ია. ზაფხული იცის გვალვიანი, ჭარბობს აღმოსავლეთისა და მთა-ხეობათა ქარები, თოვლიან დღეთა რიცხვი 16-30 დღეს აღწევს.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 16,760 კაცს. წლების მიხედვით მოსახლეობის დინამიკა ასე გამოიყურება.

წელი	მოსახლეობის რაოდენობა	ოჯახების რაოდენობა
1990	19,928	4,116
1995	20,216	4,208
2000	20,505	4,278
2005	20,172	4,360
2010	20,024	4,945
2014	16,760	5,045

ამ მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში კლებას განიცდიდა.

მუნიციპალიტეტში ოჯახებში ოჯახის წევრთა რაოდენობა საშუალოდ 4 ადამიანს შეადგენს.

მოსახლეობის განაწილება ეროვნების მიხედვით შემდეგნაირად: მოსახლეობის 99.7% ქართველია, 0.1% - რუსი, 0.1% - აფხაზი.

ქედის მუნიციპალიტეტში ერთი ცენტრი, დაბა ქედა და 64 სოფელია. მოსახლეობის სიმჭიდროვე მუნიციპალიტეტში 44.3 კაცი/კმ² შეადგენს.

მუნიციპალიტეტის წამყვანი დარგია მევენახეობა, განვითარებულია აგრეთვე მებაღეობა, მარცვლეულის წარმოება, მებოსტნეობა, ხორცისა და რძის წარმოება.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მინერალური წყლების საამქრო „კოკოტაური“, ღვინისა და წვენების ქარხანა.

მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში არის პირველადი ჯანდაცვის ობიექტები (ამბულატორიები).

2.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები

ქედის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა მიმართულია შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტასა და შედეგების მიღწევაზე:

- ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება და მონაცემთა ბაზა) ჩამოყალიბება 2017 წლისათვის;
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის როგორც მოსახლეობის, ისე კომერციული ობიექტებისა და საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისათვის, კომერციული ობიექტებისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - მუნიციპალური ნარჩენები 90% 2020 წლისთვის;
 - სახიფათო მუნიციპალური ნარჩენები 50% 2020 წლისთვის;
- სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების მართვის კოორდინირება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია 2020 წლისთვის;
- ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება (კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე);
- ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2019 წლისთვის;
- ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - ქაღალდი 30% 2020 წლისთვის;
 - მინა 20% 2020 წლისთვის;
 - მეტალი 70% 2020 წლისთვის;
 - პლასტიკი 30% 2020 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის თანამშრომლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით.
- ქედის მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე;

2.4 დაგეგმვის პროცესის აღწერა

დაგეგმვის ჩარჩო

გეგმა შემუშავებულ იქნა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით. სახელმძღვანელო დოკუმენტი შემუშავებულ იქნა USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR) პროგრამის ფარგლებში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

საწყის ეტაპზე მუნიციპალიტეტის ფარგლებში გამოიყო ჯგუფი მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურებიდან, (მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სულიკო სურმანიძე, შპს ქედის „კომუნალურსერვისი“-ს დირექტორი მალხაზ სურმანიძე)–

წარმომადგენლებით დაკომპლექტებული, რომელსაც დაევალა აღნიშნული გეგმის მომზადება.

დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მონაწილეობის პროცესი

ზემოთ აღნიშნულმა ჯგუფმა გამოკვეთა გეგმასთან მიმართებაში დაინტერესებულ მხარეთა შემდეგი ჯგუფები – საწარმოები და კომერციული ობიექტები, რომლებიც ადგილზე ფუნქციონირებენ, მსხვილი ფერმერები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ., რომლებთანაც განხორციელდა კონსულტაციები გეგმის შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე და რომლებიც, აქტიურად იყვნენ ჩართულები მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების მთელ პროცესში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია და მონაწილეობის პროცესი

დაინტერესებული მხარეების გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით განხორციელდა სამი საკონსულტაციო შეხვედრა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით ა.წ. 21 და 27 მარტს და 11 აპრილს.

გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოქვეყნებული იყო განცხადებები აღნიშნული გეგმის მომზადებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზების შესახებ.

ნაწილი 3 – მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

3.1. შესავალი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის შპს ქედის „კომუნალურსერვისი“, რომლის 100%-ის წილის მფლობელია თვითმმართველი თემი ქედის მუნიციპალიტეტი. 2017 წლის 1 მარტამდე შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებას ქ. ბათუმის ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფდა ქედის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამაჯვებული კომპანია შპს „ბათუმის სანდასუფთავება“.

2017 წლის თებერვლის თვეში ქედის თვითმმართველობამ ნარჩენების გატანისათვის შეიძინა ერთი ერთეული მაღალი გამავლობის ნაგავშიდი და 144 ერთეული 1,100 მოცულობის კონტეინერი, რითაც მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო ნარჩენების შეგროვისა და გატანის მომსახურების მიწოდება მუნიციპალიტეტის 64 სოფლისათვის, რომელსაც ახორციელებს შპს ქედის „კომუნალურსერვისი“. ამ პროცესში ჩართულია ერთი ნაგავშიდი და 3 მუშა-ხელი. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში ნარჩენების გატანა 2017 წლამდე არ ხორციელდებოდა. ნარჩენების გატანა ხდება დაბა ქედის მთლიანი დასახლებიდან და მუნიციპალიტეტის 64 სოფლიდან.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სერვისი მიეწოდება ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 90% (დარჩენილი 10%-ი არის იმ სოფლების უბნების მოსახლეობა, სადაც მაღალი გამავლობის სპეციალური ნაგავსაყრევი ვერ ახერხებს შესვლას გზის სივიწროვის გამო, რის შედეგადაც ვერ ხერხდება მომსახურების მიწოდება). მომსახურების სერვისის მიწოდება ხდება პრაქტიკულად მთელი მუნიციპალიტეტისათვის.

ნარჩენების გატანა 2017 წლის 1 მარტამდე ხორციელდებოდა დაბა ქედის დასახლებიდან და ქედა - ბათუმის ცენტრალური გზის გასწვრივ განთავსებული თემების ცენტრებიდან.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში მოქმედ კომერციულ ობიექტებსა და კერძო კომპანიებს მათ მიერ ხდება განთავსებულ ურნებში ნარჩენების შეგროვება. გატანას ახორციელებს შპს ქედის „კომუნალურსერვისი“.

3.2. გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები

აღნიშნული გეგმა განიხილავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემდეგ სახეობებთან მიმართებაში არსებულ მდგომარეობას:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
- კომერციული ობიექტების ნარჩენები³;
- ქუჩის ნაგავი;
- ფოთოლი და ბალის ნარჩენები;
- მცირე საწარმოო ობიექტების ნარჩენები;
- სამშენებლო ნარჩენები;
- სახიფათო ნარჩენები.

3.3. ნარჩენების რაოდენობა

ქედის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნის შემთხვევაში, არ მოიპოვება, რადგან არ მიმდინარეობს წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების რაოდენობის აღრიცხვა. ნარჩენების მოცულობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ნაგავსაყრელებზე შეტანილი ნარჩენების რაოდენობის მიხედვით.

მუნიციპალიტეტს არა აქვს ინფორმაცია წლების განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ, რაც მოგვემდინარეობს ნარჩენების წარმოქმნის შესახებ სურათს დინამიკაში. 2016 წლის მონაცემების მიხედვით მოცემულ წელს (სექტემბრის თვისთვის) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვდა 572,544 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი და 912 ტონა ქუჩების/პარკების დასუფთავებით წარმოქმნილი ნარჩენები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და შეგროვებული სამედიცინო ნარჩენების გატანა ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ანხორციელებს შპს „ეკომედი“.

უცნობია ყოველწლიურად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა, რადგან არ ხდება მუნიციპალური სახიფათო და სხვა ნარჩენების განცალკევებული შეგროვება.

ასევე, არ მოიპოვება მონაცემები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი დიდგაბარტიანი⁴ (რადგან მათი გატანა არ ხდება შემგროვებელი კომპანიის მიერ და მოსახლეობა ძირითადად საკუთარ ტერიტორიაზე ინახავს ამ ტიპის ნარჩენს) ნარჩენების რაოდენობის შესახებ.

საკმაოდ მწირია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ და შესაბამისად, აშკარად დგება საჭიროება მუნიციპალიტეტმა

³ კომერციული ობიექტების ნარჩენების რაოდენობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ნაგავსაყრელებზე შეტანილი ნარჩენების რაოდენობის მიხედვით.

⁴ დიდგაბარტიანი ნარჩენების რაოდენობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ნაგავსაყრელებზე შეტანილი ნარჩენების რაოდენობის მიხედვით.

მოახდინოს მონაცემთა ბაზის შექმნა, სადაც აღრიცხული იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა სახეობების მიხედვით, რაც ნარჩენების ეფექტიანი მართვის ამოსავალი წერტილია.

3.4. ნარჩენების პროგნოზირება

გამომდინარე იქიდან, რომ ქედის მუნიციპალიტეტს არ ააქვს სანდო ინფორმაცია მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ დინამიკაში, წლების მიხედვით საკმაოდ რთულია სამომავლო პროგნოზების გაკეთება, თუმცა გარკვეული დასკვნების გაკეთება შეიძლება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების დაფარვის არეალის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების ფაქტორების გათვალისწინებით.

იმის გათვალისწინებით, რომ მოხდება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების მიწოდება მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და საწარმოებისათვის, ეს ბუნებრივია გამოიწვევს მუნიციპალიტეტის მიერ სამართავი ნარჩენების რაოდენობის ზრდას.

სავარაუდოდ, მუნიციპალიტეტის ნარჩენების შეგროვების მომსახურების სრულად დაფარვის შემთხვევაში ნარჩენების ყოველდღიურად შეგროვებული მთლიანი მოცულობა გაიზრდება დაახლოებით 1,200 ტონით. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის ფარგლებში ყოველდღიურად გროვდება საშუალოდ 3.5ტონა ნარჩენი. ანუ სრული დაფარვის პირობებში მაქსიმუმ 7-7.5 ტონა ნარჩენის შეგროვება მოხდება ყოველდღე მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

3.5. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

ნარჩენების შემადგენლობაზე მსჯელობისას, გამომდინარე იქიდან, რომ ქედის მუნიციპალიტეტს არ ააქვს მონაცემები მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემადგენლობის შესახებ, შეგვიძლია გამოვიყენოთ 2015–2016 წლებში ქ.ბათუმის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონზე განხორციელებული ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური კვლევის შედეგები⁵.

ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნული კვლევის შედეგები, რაც გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის აღდგენადი ნარჩენების ამოღება შეიძლება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებული ნარჩენების ნაკადიდან. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდება მუნიციპალიტეტის რეციკლირების პოტენციალის შეფასება.

№1. ნარჩენების მორფოლოგიურ შემადგენლობის სეზონური კვლევის შედეგი (გასაშუალებული მაჩვენებელი ოთხივე სეზონისათვის)

ნარჩენების კატეგორია	%
ქაღალდი და მუყაო	14.7%
მინა	5.02%
ლითონები	1.73 %
პოლიეთლენი/პლასტმასი	16.68%

ბავშვის ჰიგიენური საფენი	5.89 %
ქსოვილები	6.81 %
ორგანული მასალები	36.6%
სამშენებლო ნარჩენები	6.0%
განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაქვემდებარებული ნარჩენები	1.81%
ტყავი და რეზინა	2.0%
სხვა ტიპის ნარჩენები	1.4%

როგორც შედეგებიდან ვხედავთ ნარჩენების შემადგენლობიდან სამი ძირითადი ნაკადი შეგვიძლია გამოვყოთ, რომელსაც დომინანტური პოზიცია უკავია ნარჩენების მთლიან ნაკადში. ესენია: ორგანული ნარჩენები (36.6%), პოლიეთილენი/პლასტმასი (16.68%) და ქაღალდი და მუყაო (14.7%).

ნაწილი 4 - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

როგორც ზემოთ არის აღნიშნული ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას ქ. ბათუმის ნაგავსაყრელზე 2017 წლის მარტის თვიდან ახდენს შპს ქედის „კომუნალურსერვისი“.

შპს ქედის „კომუნალურსერვისი“ ახდენს მომსახურების მიწოდებას მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. კერძოდ, საუბარია ქედის მოსახლეობის 90%-ზე. სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას (საუბარია 64 სოფელზე) მიეწოდება ნარჩენების შეგროვების მომსახურება. იმ სოფლების უბნებში, სადაც არ ხდება მომსახურების მიწოდება მოსახლეობის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და განთავსება ხდება უახლოეს სოფლის ცენტრებში განთავსებულ კონტეინერებში.

შპს ქედის „კომუნალურსერვისი“ ახდენს მომსახურების მიწოდებას მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. კერძოდ, დაბა ქედა სრულად მოცულია და ნარჩენების შეგროვების სერვისი (დაბა ქედაში 2017 წლამდეც არსებობდა ეს მომსახურება, ხოლო ქედის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 90%-ს მიეწოდება ეს მომსახურება. შეგროვებული ნარჩენის გატანა სამიზნე ტერიტორიიდან ყოველ მესამე დღეს ხდება.

მუნიციპალიტეტის სოფლების 10% (ე.წ. მიკრო უბანი) ვერ სარგებლობს ნარჩენების გატანის მომსახურებით, რადგან მაღალი გამავლობის ავტომანქანა ვერ ახერხებს ამ უბნებში მისვლას გზების სივიწროვის გამო, რის გამოც მოსახლეობას უწევს უახლოეს კონტეინერებთან ნარჩენების მიტანა. დაბა ქედა მოცულია მთლიანად.

მთლიანად მუნიციპალიტეტში 142 ნარჩენების შეგროვების კონტეინერია განლაგებული. 97 ერთეული მეტალის 1,100 ლიტრიანი კონტეინერი განლაგებულია საცხოვრებელ კორპუსებთან, ხოლო 45 ერთეული მეტალის 700 ლიტრიანი საზოგადოებრივ ადგილებში. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის სოფლებში 85 ერთეული ნარჩენების შეგროვების კონტეინერია განლაგებული. სოფლებში დამატებით იგეგმება 90 ერთეული 1,100 ლიტრიანი კონტეინერის განთავსება, საიდანაც ნარჩენების შეგროვება მოხდება ყოველდღე.

რაც შეეხება კომერციულ ობიექტებს და კომპანიებს / საწარმოებს, რომლებიც მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებენ, მათ დადებული აქვთ კონტრაქტები შესაბამის კომპანიებთან და ისინი ახდენენ მათგან ნარჩენების გატანას. ქედის საავადმყოფოსა და სასწრაფო სამედიცინო სამსახურიდან მუნიციპალური ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს შპს „სანდასუფთავება“, ხოლო სამედიცინო ნარჩენების გატანას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ეკო მედი“ კვირაში ერთხელ.

იმ სოფლების იმ უბნებში, სადაც არ ხდება მომსახურების მიწოდება მოსახლეობის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და განთავსება ხდება ინდივიდუალურად თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში მოწყობილ ორმოებში ან უახლოეს ტერიტორიაზე განთავსებულ ურნებში.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი დიდგაბარიტიანი ნარჩენების, მათ შორის მაცივრების, მიტოვებული მანქანების შეგროვება და გატანა არ ხდება. ასეთი ნარჩენების შენახვა / დასაწყობება ხდება თავად ამ ნარჩენების მფლობელების მიერ.

რაც შეეხება სამშენებლო და შენობა-ნაგებობების ნგრევის შედეგად მიღებულ ნარჩენებს, გამოყოფილია ტერიტორია და ხდება მათი განთავსება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საკუთარი ძალებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საუბარია დაბა ქედისა და მახუნცეთის თემის აწვევის დასახლებაზე ყოველდღიურად ხდება დაგვა-დასუფთავება შპს ქედის „კომუნალურსერვისი“-ს მიერ.

ნარჩენების შეგროვების პროცესის მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტი, კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი ერთეულის სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახური, სადაც დასაქმებულია სამი ადამიანი.

ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის იმ თანამშრომლების აყვანას, რომლებიც ნარჩენების შეგროვების და გატანის პროცესში არიან ჩართულები, ახდენს შპს ქედის „კომუნალურსერვისი“, ხოლო უკვე აყვანილი თანამშრომლების ტრენინგი და მათი უნარ-შესაძლებლობების გაზრდა შესაბამისად ამ კომპანიების მოვალეობას წარმოადგენს.

ქედის მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული პოლიტიკა იმ სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის გამოყენების სტანდარტიზაციასთან დაკავშირებით, რომლებსაც მუნიციპალიტეტი იყენებს ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის. ასევე, არ არის სტანდარტიზაციის პოლიტიკა ნარჩენების კონტეინერებთან დაკავშირებით.

ქედის მუნიციპალიტეტია პასუხისმგებელი იმ სატრანსპორტო საშუალებების შეძენას და მოვლა-შეკეთებას, რომლებიც ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პროცესში გამოიყენება. მუნიციპალიტეტს არა აქვს თავისი საამქრო ამ სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შეკეთებისათვის. როგორც წესი, ამ მიზნით ხდება ტენდერების გამოცხადება და შესაბამისი კომპანიების აყვანა; როდესაც მცირე მასშტაბიან სარემონტო საქმიანობებზეა საუბარი, ხდება ერთჯერადი ხელშეკრულებების დადება შესაბამის კომპანიასთან.

4.1. ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები

ოფიციალური ნაგავსაყრელი პოლიგონები

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხდება ქ. ბათუმის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონზე, რომელსაც ამ ეტაპზე მართავს შპს „სერვისი“ 2016-დირექტორი არჩილ კონცელიძე.

არსებული ნაგავსაყრელის ფართობი 19,2 ჰა. ბათუმის ნაგავსაყრელი მდებარეობს მდინარე ჭოროხის გასწვრივ. ნაგავსაყრელზე არ ხორციელდება არანაირი გარემოსდაცვითი ღონისძიება, რის გამოც მაღალია ნიადაგის, ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების, ასევე, ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი.

ტერიტორია არ არის შემოღობილი, ნაგავსაყრელზე შესასვლელთან დამონტაჟებულია სასწორი, ნაგავსაყრელზე მუშაობს ერთი ტრაქტორი, რომელიც ანაწილებს ნარჩენებს. ტერიტორიაზე არიან ე.წ. მქექავები და ცხოველები.

აღნიშნულ ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსება მუნიციპალიტეტმა 2000 წლიდან დაიწყო. ყოველ მესამე დღეს ნაგავსაყრელზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული 8-10 ტონა ნარჩენის განთავსება ხდება. ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე ნაგავმზიდის საშუალებით ხდება.

საშუალო მანძლი ნარჩენების შეგროვების ადგილიდან ნაგავსაყრელამდე 70 კმ-ია.

ნაგავსაყრელი არ არის შემოღობილი, შესასვლელში განლაგებულია სასწორი, ტერიტორიაზე არიან ე.წ. მქექავები და ასევე, ცხოველები.

ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაცია

არალეგალური ნაგავსაყრელების აღწერა ხდება სისტემატიურად, რის შემდეგაც ვახდენთ დალაგება- დასუფთავებას. კერძოდ, ასეთი ტერიტორიები არის იქ, სადაც არ ხდება ნარჩენების ნაგავმზიდით ტრანსპორტირება.

4.2. აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება)

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ მოქმედებს რაიმე საწარმო, რომელიც მოახდენდა აღდგენადი მასალების ცენტრალიზებულ შეგროვებას და გატანას.

ასევე, მუნიციპალიტეტში არ არის მოწყობილი ნარჩენების შეგროვების პუნქტები. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს რამდენიმე საწარმო, რომელიც ქაოტურად ახდენს აღდგენადი მასალების შეგროვებას. საუბარია ძირითადად პლასტმასისა და ქაღალდის ნარჩენებზე.

4.3. ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება

ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურების ტარიფების დადგენასთან დაკავშირებით აღსანიშნავია საქართველოში მოქმედი შემდეგი კანონები: ნარჩენების მართვის კოდექსი (2015), საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (2014), და საქართველოს კანონი ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ (1998, შესწორებებით).

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, ქედის მუნიციპალიტეტი (კერძოდ, საკრებულო, როგორც თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო) პასუხისმგებელია ადგილობრივი მოსაკრებლების (ტარიფების) შემოღებაზე, ამოღებასა და გაუქმებაზე. მოსაკრებლოს ოდენობა განისაზღვრება იმ კანონების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებენ მოსაკრებლების სტრუქტურასა და ოდენობას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამჟამად მოქმედ კანონებში ტარიფების დადგენის მეთოდოლოგია არ არის განისაზღვრული და საჭიროებს შემუშავებას.

საქართველოს კანონი მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ (1998) მიხედვით მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში. მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა ერთ ოჯახში არ უნდა აღემატებოდეს ოთხს, მიუხედავად ოჯახის წევრების რაოდენობისა. აქედან გამომდინარე, მოსაკრებლოს ოდენობა ერთ ოჯახზე არ უნდა აღემატებოდეს 12 ლარს თვეში; ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე.

ქედის მუნიციპალიტეტში ტარიფი განსაზღვრულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის N39 დადგენილებით *ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ*.

2007 წლის 20 მარტის N39 დადგენილების მუხლი 1 ბ ქვეპუნქტის მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირებისათვის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი განსაზღვრულია ერთ სულ მოსახლეზე 0.15 ლარს თვეში. ხოლო იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მოსაკრებლის ყოველთვიური ოდენობა განსაზღვრულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 22 თებერვლის N7 დადგენილებით.

საწარმოებიდან გადასახადის ამოღება ხდება ნარჩენის წარმოქმნის ფაქტორების მიხედვით. №39 დადგენილების დანართ 1-ში განსაზღვრულია დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთები იურიდიული პირებისათვის (დანართი 1).

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების მიწოდება ხდება მუნიციპალიტეტში არსებული კომერციული და სხვა დაწესებულებების 5%-ისათვის.ეს საწარმოებია ღვინისა და წვენების ქარხანა, მინერალური წყლების საამქროები: „კოკოტაური“ და „კემისი“.

2015 წელს ზემოთ აღნიშნული საწარმოებიდან, რომლებისთვისაც ნარჩენების შეგროვების სერვისის მიწოდება ხდება, ამოღებულ იქნა (2015 წელს- 25193,92 ლარი, 2016 წელს -23301,79) ლარის ოდენობით თანხა, რომლებიც გადასახადს ბანკში იხდიან.

ნარჩენების მომსახურების გადასახადის, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე 0.15 ლარს შეადგენს, ამოღება მოსახლეობიდან არ ხდება, რაც ძირითადად გადასახადის ამოღების მექანიზმის არ ქონის გამოა.

4.4. ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები

2013 წელს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა შეადგენდა 20,000 ლარი, 2014 და 2015 წლებისთვის 25,600 – 25,600 ლარი.

ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები 2013 წლისთვის 18,927 ლარს, 2014 წლისთვის 62,689 ლარს, ხოლო 2015 წლისათვის 38,329 ლარს შეადგენდა. ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი ხარჯები მთლიანი მუნიციპალური ხარჯების 22%, 65% და 33% შეადგენდა, 2013, 2014 და 2015 წლისათვის, შესაბამისად.

	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	87,000	95,000	115,000
ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	18,927	62,689	38,329
ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი ხარჯების შეფარდება მთლიან მუნიციპალურ ხარჯებთან (%)	22%	65%	33%

მუნიციპალიტეტს, ნარჩენების მართვაზე გაღებული ხარჯების მიხედვით, 2015 წელს 10.5 ლარი დაუჯდა 1 ტონა ნარჩენის შეგროვება.

ნარჩენების შეგროვებისა მომსახურების პროცესში ჯამში ჩართულია თვრამეტი (18) დამიანი, აქედან ერთი (1) ადამიანი ადმინისტრაციაშია დასაქმებული, ერთი მექანიკოსი, ერთი ზედამხედველი, ერთი მძღოლი, ექვსი შეგროვების მომსახურების მუშახელი და რვა ქუჩების დასუფთავების მუშახელი, რომლებიც შპს ქედის „კომუნალურსერვისი“-ს თანამშრომლები არიან.

ნაწილი 5 - ნარჩენების მართვის არსებული საუკეთესო პრაქტიკა და ტენდენციები

ევროპის წამყვან ქვეყნებში ნარჩენების მართვის ამოსავალი წერტილია ნარჩენების იერარქია, რომლის მიხედვითაც ნარჩენების მართვის მეთოდებს შორის უპირატესობა პრევენციას ენიჭება. შემდეგი პრიორიტეტებია, რიგის მიხედვით, პროდუქტის ხელმეორედ გამოყენება, რეციკლირება, სხვა სახის აღდგენა (მაგ. ენერჯის აღდგენა) და ბოლოს, ნაგავსაყრელზე განთავსება, რომელიც განიხილება როგორც ყველაზე ნაკლებად სასურველი საშუალება.

ევროკომისიის გზამკვლევის, “რესურს ეფექტიანი ევროპა”⁶ მიხედვით, 2020 წლისათვის ნარჩენები უნდა იმართებოდეს როგორც რესურსი.

ერთ სულზე ნარჩენების გენერაცია აბსოლუტურ კლებას უნდა განიცდიდეს. რეციკლირება და ხელმეორედ გამოყენება ეკონომიკურად მიმზიდველი უნდა გახდეს საჯარო და კერძო სექტორებისათვის ფართოდ დანერგილი დახარისხებულად შეგროვების სისტემებისა და მეორადი ნედლეულის ფუნქციონალური ბაზრების განვითარების გზით. ენერჯის აღდგენა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ არარეციკლირებადი მასალებით. ნაგავსაყრელზე განთავსება პრაქტიკულად უნდა აღმოიფხვრას და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაღალი ხარისხის რეციკლირება.

ნარჩენების პრევენციაზე საუბრისას ცალსახაა, რომ აქ უფრო ცენტრალური მთავრობის როლი იკვეთება შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და გატარების კუთხით, რომლებიც მიმართული იქნება ნარჩენების როგორც რაოდენობრივ, ისე

ხარისხობრივ პრევენციაზე. რაც შეეხება ადგილობრივი მთავრობის როლს ამ კუთხით, აქ უფრო ადგილობრივ მოსახლეობასთან მუშაობა იკვეთება ამ პოლიტიკის დოკუმენტების ეფექტიანი განხორციელების კუთხით – მოსახლეობასთან მუშაობა უშუალოდ პროდუქტების უკვე მოხმარებისა და გამოყენების ფაზებზე.

ევროსტატის მონაცემების მიხედვით, ევროკავშირში 1995 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში იკვეთება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსების შემცირების მკაფიო ტენდენცია ნარჩენების მართვის ალტერნატიული მეთოდების გამოყენების მიმართულებით სტაბილურად სვლის ფონზე.

5.1. შეგროვება და ტრანსპორტირება

ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ყველაზე მაღალი ხარჯის მქონე კომპონენტია. იმ ქვეყნებში, რომელთაც თანამედროვე ინსინერატორები და სანიტარიული ნაგავსაყრელები გააჩნიათ, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების ხარჯები ნარჩენების მართვის ხარჯების დაახლოებით ნახევარს შეადგენს. განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კი, სადაც ნარჩენების მართვის ნაკლებად განვითარებულის სისტემებია, შეგროვების და ტრანსპორტირების ღირებულება საერთო ხარჯების 90%-მდე შეიძლება აღწევდეს.

ევროპის ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება ნარჩენების შეგროვების კონტეინერული სისტემა, როცა მოსახლეობა ნარჩენებს საერთო კონტეინერებში ათავსებს.

ზოგჯერ მოსახლეობა ნარჩენებს არა საერთო, არამედ ინდივიდუალურ კონტეინერში ათავსებს, რომელიც მისი სახლის წინ დგას, ან ტოვებს ნარჩენებს ჭიშკართან ცელოფანის პარკში, რომელსაც შემდეგ შემგროვებელი კომპანია გაიტანს. ასეთი ინდივიდუალური კონტეინერები, ან ე.წ. „ტროტუარიდან შეგროვება“, გამოიყენება უფრო ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში.

ასევე, ინდივიდუალური შეგროვების სისტემებს შორის არის „კარდაკარ“ შეგროვება, როცა შემგროვებელი ჩამოივლის სათითაოდ მობინადრეებს, ან „ეზოდან შეგროვება“, როცა შემგროვებელი შედის ეზოში და გამოაქვს ნარჩენები.

ასევე აღსანიშნავია ნარჩენების შეგროვების მიწისქვეშა სისტემები, რომლებიც შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც ცალკეული შეგროვების პუნქტები ან შეიძლება მოიცავდეს ავტომატიზებულ ვაკუუმის (პნევმატურ) შეგროვების სისტემებს. ვაკუუმის სისტემა მიწისქვეშა სატრანსპორტო არხებისაგან შედგება, რომლის საშუალებითაც ხდება ნარჩენების ტრანსპორტირება შეგროვების პუნქტში. ორივე სისტემა იძლევა როგორც ნარჩენი ფრაქციის, ისე დახარისხებული რეციკლირებადი მასალების შეგროვების შესაძლებლობას. მიწისქვეშა საცავის გამოყენების უპირატესობებია კონტეინერებისათვის საჭირო ადგილის დაზოგვა, გაუმჯობესებული ჰიგიენური და ესთეტიკური პირობები, შენახვის დაბალი ხარჯები და გატანის უფრო დიდი ინტერვალი გამომდინარე იქედან, რომ საცავი უფრო მეტ ნარჩენს იტევს ფართობის ერთეულზე კონტეინერებთან შედარებით, მეტი მოცულობის და ასევე, კომპაქტირების მექანიზმის ხარჯზე. მიწის ქვეშა საცავების გამოყენებით შესაძლებელია შეგროვების და ტრანსპორტირების ხარჯების დაზოგვა 5-30%-ით. ავტომატური ვაკუუმის (პნევმატური) ნარჩენების შეგროვების სისტემები კი ასრულებენ როგორც ნარჩენების საცავის ისე ტრანსპორტირების ფუნქციას მიწისქვეშა მილსადენების ქსელის საშუალებით, რომლითაც ნარჩენები გადაიტანება ნარჩენების შეგროვების ტერმინალში. ამ მხრივ, ეს სისტემა ნაგავშიდების ალტერნატივას წარმოადგენს. მისი უპირატესობაა სატრანსპორტო მოძრაობის გადატვირთვის, ავტოსაგზაო შემთხვევების, ხმაურის და ნახშირორჟანგის გაფრქვევის თავიდან აცილება და საერთო უსაფრთხოების და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება.

ასევე, ეს სისტემა უზრუნველყოფს შეგროვების პროცესის სისწრაფეს და არ არის დამოკიდებული ამინდის პირობებზე ან სხვა ხელისშემშლელ ფაქტორებზე. ამ სისტემის ოპერირების ხარჯები 2-3-ჯერ უფრო დაბალია ჩვეულებრივ მეთოდებთან შედარებით. თუმცა, ამ სისტემის ნაკლოვანებას წარმოადგენს, რომსაწყისისაინვესტიციონარჯები 30-50%-ით უფრო მაღალია ზედაპირული შეგროვების სქემებთან შედარებით. ასევე, დღესდღეობით, პრობლემურია ამ სისტემებით მუნიციპალური ნარჩენების ზოგიერთი ფრაქციის შეგროვება, როგორცაა მუყაო, მინა, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები და დიდგაბარიტიანი ნარჩენები. მიუხედავად ამისა, ოპერირების დაბალმა ხარჯებმა გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება დააბალანსოს საწყისი მაღალი ინვესტიციების საჭიროება.

ცალკე განსახილველია სახიფათო ნარჩენების შეგროვების სისტემები. რიგ ქვეყნებში (მაგ. დანიაში, ქალაქ კოპენჰაგენში) არსებობს სახიფათო ნარჩენების შეგროვების პრაქტიკა, რომელიც გარკვეული კომფორტის ხარისხით გამოირჩევა. კერძოდ, მრავალსართულიან შენობებს ემსახურება დაქირავებული, სპეციალურად დატრენინგებული ადამიანი, რომელიც მოსახლეებისაგან (პირდაპირ მათი ბინიდან) აგროვებს სახიფათო ნარჩენებს და ათავსებს დროებითი შენახვის საცავში, სანამ შემგროვებელი კომპანია უზრუნველყოფს მის გატანას.⁷

ასევე, არის პრაქტიკა, როდესაც სახიფათო ნარჩენების შეგროვებისათვის გამოყოფილია სპეციალური დღეები და ადგილები, როდესაც მოსახლეობას უფასოდ შეუძლია მიიტანოს და ჩააბაროს სახიფათო ნარჩენები. იგივე მიდგომა არსებობს დიდგაბარიტიან ნარჩენებთან მიმართებაში რიგ ქვეყნებში.

5.2. ალდგენის პროცესები

ნარჩენების ალდგენის პროცესების ხელშეწყობისათვის უმნიშვნელოვანესია ნარჩენების დახარისხებული შეგროვების პრაქტიკის დანერგვა.

არსებობს ნარჩენების დახარისხებული შეგროვების სხვადასხვა სქემები მოსახლეობის სიმჭიდროვის და სხვა ფაქტორებზე დამოკიდებულებით. მაგალითად, რიგ შემთხვევებში რეციკლირებადი ნარჩენები მოსახლეობას მიაქვს რეციკლირების პუნქტებში. მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის შემთხვევაში, რეციკლირებადი ნარჩენების ჩაბარების პუნქტები შეიძლება განთავსებული იყოს მარკეტების ან საცალო ვაჭრობის მაღაზიების მახლობლად, ან სოფლებში გზაჯვარედინებთან. ზოგ შემთხვევებში მოსახლეობა რეციკლირების პუნქტში გარკვეული ტიპის ნარჩენების მიტანისათვის მცირე ანაზღაურებას იღებს. მაგ. ფორლიში (იტალია) მოსახლეობა რეციკლირებადი ნარჩენების დახარისხების პუნქტში მიტანის სანაცვლოდ ანაზღაურებას იღებს ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ბილეთების ან გარკვეული საკანცელარიო საქონელის სახით. ხშირად რეციკლირების პუნქტში ნარჩენების ჩაბარება უფასოა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ, ამ ნარჩენებს შემგროვებელი კომპანია გაიტანს – იბეგრება.

ამგვარი სტიმულები გამოიყენება მოსახლეობის მოტივირებისათვის ხელი შეუწყონ დახარისხებულ შეგროვებას.

სეპარაციის მეთოდები

მუნიციპალური ნარჩენების სეპარაცია (დახარისხება) შეიძლება განხორციელდეს ორი გზით. წყაროსთან სეპარაცია ნიშნავს იმას, რომ მომხმარებლები რეციკლირებად ნარჩენებს, როგორცაა ქაღალდი, მეტალი, პლასტიკი, მინა და სხვ. ათავსებენ თითოეული

ამ ფრაქციისთვის ცალ-ცალკე გამოყოფილ კონტეინერებში. ცენტრალიზებული სეპარაციის შემთხვევაში ყველა სახის ნარჩენი ერთ კონტეინერში თავსდება, რის შემდეგაც მისი ტრანსპორტირება ხდება ცენტრალიზებულ ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხნებში, სადაც ხდება ნარჩენების სეპარაცია და შემდგომი რეციკლირება. დანარჩენი ფრაქციები კი იწვება ენერჯის აღდგენით. ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ფერფლი იმარხება ნაგავსაყრელზე. ნარჩენების მართვის მრავალი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ეკონომიკურად და გარემოსდაცვის თვალსაზრისით უფრო მისაღებია რეციკლირებადი და ხელმეორედ გამოყენებადი ნარჩენების დახარისხებულად შეგროვება – წყაროსთან სეპარაცია. წყაროსთან სეპარაციის სისტემას გააჩნია დაბალი საწყისი ღირებულება და ზომიერი საოპერაციო ხარჯები; ამ გზით მიიღება უფრო მაღალი ხარისხის და შესაბამისად, უფრო მაღალი ღირებულების მასალები; ხდება ენერჯის დაზოგვა და მეტი სამუშაო ადგილების შექმნა მასალის ერთეულზე ცენტრალიზებული დახარისხების ქარხნებთან, ნაგავსაყრელებთან და ინსინერატორებთან შედარებით. წყაროსთან სეპარაციას ახლავს გაცილებით ნაკლები ჰაერის და წყლის დაბინძურება და ასევე, ეს მეთოდი ხელს უწყობს ნარჩენების შემცირებას და რეციკლირებას და ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

ცენტრალიზებული დახარისხების და გადამამუშავების ქარხნების აშენება და ოპერირება ძვირი ჯდება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში მათი დახურვის მიზეზი ხდება. არასათანადოდ ოპერირების შემთხვევაში ეს ქარხნები წარმოქმნიან მაღალ ტოქსიკურ ფერფლს, რომელიც უსაფრთხოდ უნდა განთავსდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული ქარხნები რენტაბელურია მხოლოდ დიდი რაოდენობით ნარჩენების მიწოდების შემთხვევაში. ეს კი წახალისებს მეტი ნარჩენის წარმოქმნას, რაც ეწინააღმდეგება ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომებს.

კვლევები აჩვენებს, რომ წყაროსთან სეპარაცია მნიშვნელოვნად მეტი სარგებლის მომტანია არამხოლოდ მასალის ხარისხის და მაღალი პრევენციისა და რეციკლირების მაჩვენებლების თვალსაზრისით, არამედ იმით, რომ უფრო ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს. მაგალითად, იმისათვის რომ გადავადნოთ მინის ახალი კონტეინერი, საჭიროა მაღალი ხარისხის სისუფთავე და დახარისხება ფერის მიხედვით. შერეული, ან დამტვრეული მინა უვარგისია გადადნობისათვის და ჩვეულებრივ, უფრო იაფად იყიდება როგორც აგრეგატი. გარდა ამისა, მინის გადადნობას მნიშვნელოვანი კლიმატის სარგებელი ახლავს, გადადნობილი მინის ერთ ტონაზე, დიდი ბრიტანეთი ზოგავს 314 კგ CO₂-ს. მინის ნამსხვრევების გამოყენებას კი კლიმატის სარგებელი არ მოაქვს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მინა წყაროსთან დახარისხდეს ფერის მიხედვით.

სწორედ ამ მიზეზების გამო, ნარჩენების ჩარჩო დირექტივა მოითხოვს წყაროსთან დახარისხებას გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესაძლებელია იმის დამტკიცება, რომ ეს არ არის ტექნიკური, ეკოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით განხორციელებადი.⁸

ევროპის ქვეყნებში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემების შედარებითი ანალიზი⁹ აჩვენებს, რომ წყაროსთან სეპარაციის უპირატესობა გაცნობიერებულია ევროპის ყველა იმ ქალაქსა თუ რეგიონში, რომლებიც აღნიშნული კვლევით იყო მოცული. წყაროსთან სეპარაციის პროგრამები წარმოდგენილი ყველა მიმოხილულ ქალაქსა და რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდება დახარისხებულად შეგროვების სისტემები და დახარისხების მასშტაბები, ქალაქების და რეგიონების უმეტესობაში დახარისხებულად გროვდება: ორგანული ნარჩენები, ქალაქი, მინა, ლითონები, მსუბუქი პლასტიკური ნაწარმი, სახიფათო ნარჩენები და ასევე, დიდგაბარტიანი ნარჩენები და ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენები.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა ნარჩენების შეგროვების სერვისში მომუშავეთა უსაფრთხოებას. კერძოდ, დადგენილია კონტეინერების შენახვის და რეცხვის წესები, კონტეინერების განლაგების წესები, ისე რომ მომუშავეების ჯანმრთელობას არ შეექმნას საფრთხე. წარმოებს შესაძლო რისკებისა და არაჯანსაღი სამუშაო პირობების შეფასება, მომუშავეების დამცავი საშუალებებით აღჭურვა, მომუშავეების რეგულარული ინსტრუქტაჟი შრომითი უსაფრთხოების საკითხებზე, მომხდარი ინციდენტების, ან ინციდენტების საფრთხის რეგულარული ანალიზი, მომუშავეების სამედიცინო შემოწმება, მათ შორის პრევენციული, აღჭურვილობის და ნაგავში მანქანების ტექნიკური გაუმჯობესება და სხვ. დანიაში 1990 წლებიდან შრომითი რეგულაციები კრძალავს ნარჩენების კონტეინერების ან ტომრების ხელით ტარებას. ამისათვის შენობები აღჭურვილია ლიფტებით, ამწეებით და სხვა სპეციალური მოწყობილობებით. ასევე გამოიყენება შეგროვების ავტომატიზებული ვაკუუმის სისტემები.

5.3. ხარჯების ამოღების პრაქტიკა

ევროპის ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღებას. ნარჩენების ჩარჩო დირექტივა მოითხოვს, რომ „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად, ნარჩენების მართვის ხარჯები დაეკისროს ნარჩენების წარმომქმნელს ან ნარჩენების ახლანდელს, ან წინა მფლობელს. გარდა ამისა, წევრმა ქვეყნებმა, ნარჩენების მართვის ხარჯები შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად დააკისრონ იმ პროდუქტის მწარმოებელს, რომელიც მოცემული ნარჩენების წყაროს წარმოადგენს. ნარჩენების მართვის ხარჯები შეიძლება ასევე გადანაწილდეს პროდუქტის დისტრიბუტორზეც.¹⁰

ევროპის ყველა ქვეყანაში ნარჩენების სერვისებზე დაწესებულია გადასახადი, „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად. თუმცა, ქვეყნების მიხედვით განსხვავდება გადასახადების სქემები. ზოგ ქვეყანაში გადასახადის ოდენობა წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობაზეა დამოკიდებული. ხოლო სხვა ქვეყნებში არსებობს ფიქსირებული გადასახადი ნარჩენებზე, ან მუნიციპალური გადასახადი, რომელიც მოიცავს ნარჩენების გადასახადს. ფიქსირებული წლიური გადასახადი საოჯახო მეურნეობაზე ევროკავშირის ქვეყნების მუნიციპალიტეტებში მერყეობს 40 ევროდან (კატალონია, ესპანეთი) 2,415 ევრომდე (დიდი ზომის 1,100 ლიტრიანი კონტეინერისათვის შტუტგარდში, გერმანია). გადასახადი 1 კგ ნარჩენზე მერყეობს 0.17 ევროდან (სლოვაკია) 0.36 ევრომდე (შვედეთი).¹¹ ასევე, გადასახადი შეიძლება დაწესდეს ნარჩენების კონტეინერის მოცულობის, ან ნარჩენების მოთავსებისთვის განკუთვნილი სპეციალური ტომრების მიხედვით. ამასთან, გადასახადი შეიძლება ვარიირდეს ნარჩენების გატანის სიხშირის და სხვა პარამეტრების მიხედვით.

ვენაში (ავსტრია) გადასახადი დაწესებულია ნარჩენ ფრაქციაზე. ნარჩენების წლიური გადასახადი ითვლება ნარჩენი ფრაქციისათვის განკუთვნილი კონტეინერების რაოდენობის, წლის განმავლობაში კონტეინერების დაცლის სიხშირის და ნარჩენების რაოდენობის (კონტეინერის ზომის მიხედვით) მიხედვით. 110/120 ლიტრი ნარჩენი ფრაქციის შემცველი კონტეინერის ერთჯერადი დაცლის ხარჯი განისაზღვრება როგორც 3.16 ევრო (10% დღგ-ს ჩათვლით), უფრო დიდი ზომის კონტეინერების დაცლის ხარჯები 110/120 ლიტრინი კონტეინერის ჯერადად გამოითვლება. ნარჩენი ფრაქციის შეგროვებისა და დამუშავების ხარჯების გარდა, ეს გადასახადი ფარავს რეციკლირებადი ნარჩენების და სახიფათო ნარჩენების შეგროვების და დამუშავების ხარჯებს, გარდა შესაფუთი მასალების

ნარჩენებისა, რომელიც სხვა სისტემით ფინანსდება. გარდა ამისა, დამატებითი მომსახურებისათვის, როგორცაა დიდი ზომის ნარჩენების, არასაყოფაცხოვრებო ნარჩენები და სხვ. შეგროვება და ტრანსპორტირება, არსებობს დამატებითი გადასახადები. სახიფათო ნარჩენების და დიდი ზომის ნარჩენების მიტანა მოსახლეობას შეუძლია რეციკლირების პუნქტებში, ამ შემთხვევაში მათი დაბეგვრა არ ხდება.

ტამპერეში (ფინეთი) ნარჩენების მართვა „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად ნარჩენების წარმომქმელების მიერ ფინანსდება, გარდა იმ ნარჩენებისა, რომელზეც მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობა ვრცელდება. ოჯახები გადასახადს იხდიან მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის მიხედვით. ასევე, მათ შეიძლება აირჩიონ შეგროვების ინტერვალის მათი საჭიროებების მიხედვით. რეგიონული რეგულაციებით დადგენილია ნარჩენების კონტეინერების ტიპები, შეგროვების მაქსიმალური ინტერვალის და მოთხოვნები დახარისხებული შეგროვებისათვის (დახარისხების დონე). ნარჩენების შეგროვების გადასახადი ასევე ფარავს საყოფაცხოვრებო სახიფათო ნარჩენების მართვის და ნაწილობრივ, რეციკლირებადი ნარჩენების შეგროვების ხარჯებს.

კოპენჰაგენში (დანია) ნარჩენების შეგროვების გადასახადი გამოითვლება თითოეული ინდივიდუალური საოჯახო მეურნეობისათვის ნარჩენი ფრაქციისათვის განკუთვნილი კონტეინერების ნომინალური მოცულობის და გატანის სიხშირის მიხედვით. ასევე, დამატებითი გადასახადია დაწესებული იმ შემთხვევაში, თუ ნაგავშიდის გაჩერების ადგილიდან (ტროტუარიდან) კონტეინერამდე მანძილი 15 მეტრს აღემატება. ნარჩენი ფრაქციისათვის დაწესებული გადასახადი ფარავს ყველა სხვა სახის მომსახურების ხარჯებს, როგორცაა: დიდგაბარტიანი ნარჩენების და ბალის ნარჩენების გატანა, სახიფათო ნარჩენების შეგროვება და რეციკლირების სქემები და შესაბამისად, მოსახლეობას ამ მომსახურებისათვის დამატებითი გადასახადი არ ეკისრება.

ევროპის ქვეყნებში ნარჩენების მომსახურების გადასახადები უმეტესად ნარჩენების მოცულობაზეა დამოკიდებული, კერძოდ, კონტეინერების მოცულობაზე. კოპენჰაგენში არსებობს ნარჩენების მოცულობაზე დაფუძნებული დინამიური სისტემა, როცა მოსახლეობას ყოველდღიურად შეუძლია ცვალოს ნარჩენების კონტეინერების მოცულობა. ასევე, სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს ნარჩენების აწონვის სისტემები. კერძოდ, ნაგავშიდებს გააჩნიათ ნარჩენების აწონვის მოწყობილობა, ნარჩენების წარმომქმნელი კი გადასახადს იხდის მის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების წონის მიხედვით. შესაბამისად, მეტი ნარჩენის წარმომქმნელისათვის გადასახადი უფრო მაღალია. ეს სისტემა მოითხოვს ტექნიკურად უფრო განვითარებულ ნაგავშიდებს და შესაბამისად, ყველგან არ არის ხელმისაწვდომი. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ნარჩენების წონაზე დამოკიდებული გადასახადები აჩენს ნარჩენების არალეგალურად გადაყრის საშიშროებას.

5.4. საზოგადოების განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

ნარჩენების მართვის სფეროში საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს მოსახლეობაში ნარჩენების პრევენციის, დანაგვიანების აღმოფხვრისა და რეციკლირების პრაქტიკის თვალსაზრისით.

როგორც წესი ევროპის ქვეყნებში თავად ადგილობრივი მთავრობების ან შემგორვებელი კომპანიის მიერ ხდება სხვადასხვა წამახალისებელი კამპანიების მოწყობა ნარჩენების მართვის სწორი პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით. მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ამ მიმართულებით ბაღის და სკოლის ასაკის ბავშვებთან მუშაობაზე.

ნაწილი 6 - ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები

ქედის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან არსებული მდგომარეობისა და ევროპაში ნარჩენების მართვის სისტემების განხილვის საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ ნარჩენების მართვის სამომავლო ვარიანტების ანალიზი.

შეგროვება და ტრანსპორტირება

ნარჩენების შეგროვების გამართული სისტემის ფუნქციონირებისათვის მუნიციპალიტეტის სოფელებში განთავსებულია ურნები. დამატებით საჭიროა 40 ერთეული 1,1 ტევადობის ურნა.

ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო კონტეინერების რაოდენობა უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის აღრიცხვის წარმოების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების სისტემის დანერგვა მუნიციპალიტეტის თავისებურებების გათვალისწინებით.

მომსახურების არეალში კონტეინერების განლაგება და მათი დაშორება ნარჩენების წარმომქმნელებისგან, რომელთაც ისინი უნდა მოემსახურონ არ უნდა აღემატებოდეს 150–200 მ-ს.

ოპტიმალური ეფექტიანობის მისაღწევად, მუნიციპალიტეტმა, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მოახდინოს იმ ტექნიკის, მათ შორის შემგროვებელი მანქანებისა და კონტეინერების, სტანდარტიზაცია, რომელსაც იყენებს მომსახურებისას. მუნიციპალური სტანდარტიზაციის ნორმების შემუშავება ცენტრალური მთავრობის შესაბამის სტანდარტიზაციის ნორმებზე დაყრდობით უნდა განხორციელდეს.

ქედის მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მარშრუტის ეფექტიანი და ეკონომიური დაგეგმვა. ნარჩენების შეგროვების მარშრუტის სქემაზე მუშაობისას უნდა მოხდეს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- შეგროვების მიზნით მანქანის მიერ გავლილი მანძილის შემცირება და შეგროვებული ნარჩენების მასის ზრდა;
- მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბანში მოძრაობის ინტენსივობა დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში;
- ნარჩენების უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის გზებისა და ხიდებზე მოძრაობის მანქანების წონის შეზღუდვა.

სწორი სატაროფო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სამართლიანი მოსაკრებლის გამოთვლა ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით და ასევე, მოსაკრებლის ამოღების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

ნარჩენების განთავსება

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირება და განთავსება ხორციელდება ქ. ბათუმის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონზე. აღნიშნული პოლიგონის მართვა კი უკვე ნაგავსაყრელის ოპერატორი კომპანიის მოვალეობაა.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე იგეგმება არსებული, მოქმედი ნაგავსაყრელის დახურვა და ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა.

EBRD¹² გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დაგეგმილია ქობულეთის მახლობლად ახალი, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელისა და შესაბამისი სატრანსფერო სადგურების აშენება. აღნიშნული ნაგავსაყრელის მშენებლობაზე უკვე გაცემულია ნებართვა იგი მოემსახურება აჭარის ა.რ-ს.

ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის ოპერირების დაწყების შემდეგ ქედის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი და შეგროვებული ნარჩენების განთავება მოხდება ახალ რეგიონულ ნაგავსაყრელზე.

აღდგენა

ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოხდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ნაკადებზე (ქალაქი, პლასტიკი და ორგანული ნარჩენები), რომლებიც გამოიყო ნარჩენების შემადგენლობის კვლევის დროს. მუნიციპალიტეტის სპეციფიკადან გამომდინარე ეფექტიანი იქნება ასეთი შეგროვების პუნქტების მოწყობა საერთო სარგებლობის ადგილებთან.

ნარჩენების რაოდენობის შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში. ხარჯთეფექტიანობის გათვალისწინებით რეკომენდირებულია საერთო სარგებლობის (რამდენიმე ფერმერის გაერთიანება) საკომპოსტე ადგილების მოწყობა.

ნაწილი 7 - სამოქმედო გეგმა დაგანხორციელების ვადები

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება, ანგარიშგება და მონაცემთა ბაზა) ჩამოყალიბება 2017 წლისათვის.	<ul style="list-style-type: none"> ინფორმაციის არარსებობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით (არ არის ინფორმაცია სახოფათო, სამედიცინო და სხვა ტიპის ნარჩენების შესახებ). 	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტში ნარჩენების აღრიცხვაზე და შესაბამისი ბაზის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა/დანისვნა; მუნიციპალური და სამრეწველო ნარჩენების შემგროვებელი კომპანიის კონტრაქტში ყოველდღიურად გატანილი ნარჩენების აღრიცხვისა და მუნიციპალიტეტში ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირისათვის ამ მონაცემების 	ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით ხელმისაწვდომია.	მონაცემთა ელექტონული ბაზა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ სახეობების მიხედვით.	2018 წლის 31 დეკემბერი	ქედის მუნიციპალიტეტი	საქართველოს გარემოსდაცვის სამინისტრო	-	ქედის მუნიციპალიტეტი.

აჭარის ა.რ. გარემოს დაცვის სამმართველო

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
-----------	------------	--------------------------------	--------	---------------------	------	--------------------------	-----------	-------------------	--------------------

ყოველთვიურად მიწოდების ვალდებულების ჩადება;

- იმ კომპანიების, რომლებიც სახიფათო, სამედიცინო და სხვა ტიპის ნარჩენის შეგროვებას ახდენენ, კონტრაქტში ყოველდღიურად გატანილი ნარჩენების აღრიცხვისა და მუნიციპალიტეტში ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირისათვის ამ მონაცემების ყოველთვიურად მიწოდების ვალდებულების

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
-----------	------------	--------------------------------	--------	---------------------	------	--------------------------	-----------	-------------------	--------------------

ჩადება;

- მონაცემთა ელექტონული ბაზის შემუშავება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით.

ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (საკმარისი რაოდენობის კონტეინერები, ნარჩენების გატანის

- არახარისხიანი მომსახურების მიწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის;
- მუნიციპალიტეტის

მუნიციპალიტეტში დამატებითი კონტეინერების

ნარჩენებისშეგროვებისადა გატანის ეფექტიანი მომსახურების მიწოდება როგორც მოსახლეობისათვის, ისე საწარმოებისათვის

- ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლები
- ს მიღწევა:
 - მუნიციპა

2018 წლის 31 დეკემბერი

ქედის მუნიციპალიტეტი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

200,000 ლარი

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
საკმარისი სიხშირე) მიწოდება მოსახლეობისათვის და მუნიციპალიტეტში არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.	<p>რურალური მოსახლეობის 10% არ მიეწოდება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სერვისი;</p> <ul style="list-style-type: none"> ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურებაში გამოყენებული ტექნიკის, მათ შორის შემგროვებელი მანქანებისა და კონტეინერების, სტანდარტიზაცია 	<p>დადგმა (40 ერთეული);</p> <ul style="list-style-type: none"> ნარჩენების შეგროვების კონტეინერებიდან გატანის ოპტიმალური სიხშირის უზრუნველყოფა, რომ არ ხდებოდეს ურნების და ურნების მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანება; სპეციფიური ნარჩენების (მაგ. ბატარეები, კუმულატორები, სხვ.) შეგროვების პუნქტების გახსნა; 		<p>ლურინარ ჩენები 90% 2020 წლისთვის;</p> <ul style="list-style-type: none"> სახიფათო ნარჩენები 50% 2020 წლისთვის; 	2020 წელი (ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნულ მაჩვენებლ		<p>საქართველოს რეგიონური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p> <p>აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს</p> <p>დონორები</p>		

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
	<p>ციის არსებობა.</p> <p>• რუკების არსებობა, სადაც დატანილი იქნება ნარჩენების შეგროვების მარშრუტები და შეგროვების კონტეინერები .</p>	<p>არ</p> <p>• მცირეგაბარიტიანი ერთი ერთეული მაღალი გამავლობის სპეცტექნიკის შექმნა;</p> <p>• ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურებაში გამოყენებული ტექნიკის სტანდარტიზაციის პოლიტიკის შემუშავება ცენტრალურ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით;</p>			<p>ეზის მიღწევის კუთხით)</p>				

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
-----------	------------	--------------------------------	--------	---------------------	------	--------------------------	-----------	-------------------	--------------------

<p>სახიფათო ნარჩენების მართვის კოორდინირება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაკმაყოფილების</p>	<ul style="list-style-type: none"> • უცნობია ყოველწლიურად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა; • არ ხდება მუნიციპალური სახიფათო და სხვა ნარჩენების 	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების ამსახველი რუკების შემუშავება (მარშრუტებისა და კონტეინერების მდებარეობის დატანა რუკებზე). • იმ კომპანიების, რომელებიც სახიფათონარჩენის შეგროვებას ახდენენ, კონტრაქტში ყოველდღიურად გატანილი ნარჩენების აღრიცხვისა და მუნიციპალიტეტში ამ საკითხზე 	<p>სახიფათო ნარჩენების მართვა ქედის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სახიფათო ნარჩენების მართვის ეროვნული სისტემის მიხედვით.</p>	<p>მონაცემთა ელექტონული ბაზა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების</p>	<p>2018 წლის 31 დეკემბერი</p>	<p>-----</p>	<p>-----</p>	<p>-----</p>	<p>-----</p>
--	--	---	--	---	-------------------------------	--------------	--------------	--------------	--------------

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
მიზნით	სეპარირებული შეგროვება.	<p>პასუხისმგებელი პირისათვის ამ მონაცემების ყოველთვიურად მიწოდების ვალდებულების ჩადება;</p> <ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა ელექტონული ბაზის შემუშავება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით. 	<p>მიხედვით.</p> <p>ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლები</p>	<p>ს მიღწევა:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სახიფათო ნარჩენები 50% 2020 წლისთვის; <p>ადგილობრივ დონეზე სახიფათო ნარჩენების მართვის დოკუმენტის შემუშავება</p>	<p>2020 წელი (შეგროვების მინიმალური ეროვნულ მაჩვენებლის მიღწევის კუთხ</p>				

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
				სახიფათონარჩენებისმართვის სეროვნულისი სტემისმიხედვით.	ით) 2025 წელი (სახიფათონარჩენებისმართვის დოკუმენტის შემუშავების კუთხით)				
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური	• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური	• ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების	• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული	2018 წელი	ქედის	საქართველოს რეგიონური		

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია 2020 წლისთვის	<p>ნაგავსაყრელების არსებობა;</p> <ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის არ ქონა. 	<p>ინვენარიზაცია;</p> <ul style="list-style-type: none"> ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების დახურვისა და რემედიაციის დროში გაწერილი გეგმის შემუშავება; ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების დახურვისა და რემედიაციის გეგმის განხორციელება და მონიტორინგი. 	<p>განთავსების არალეგალური ადგილების ბაზა;</p> <ul style="list-style-type: none"> ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების დახურვისა და რემედიაციის დროში გაწერილი გეგმა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელების რემედიაცია 	<p>ლი სტიქიურინაგავსაყრელების 40% დახურულია 2017 წლისთვის;</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების 60% დახურულია 2020 წლისთვის;</p>	<p>2020 წელი</p>	<p>ხელვაჩურის მუნიციპალიტეტი</p>	<p>განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p> <p>აჭარის ა.რ. გარემოს დაცვის სამმართველო</p> <p>აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს</p>		

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
							დონორები		
							არასამთავრობო ორგანიზაციები		
ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობი საქმიანობების განხორციელება (კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვა);	ნაგავსაყრელებზე განთავსებულ ნარჩენში ორგანული ნარჩენის დიდი რაოდენობა (36.6%)	<ul style="list-style-type: none"> კომპოსტირების საკითხებზე ტრენინგების ჩატარება მუნიციპალიტეტის სოფლების რწმუნებულებთან (სულ მცირე 8 ტრენინგი); სადემონსტრაციო საკომპოსტე ადგილების მოწყობა სასწავლო დაწესებულებების და/ან აქტიური 	<ul style="list-style-type: none"> ნაგავსაყრელებზე განთავსებულ ნარჩენში ორგანული ნარჩენის დიდი რაოდენობა შემცირებულია 5%-ით. 	მუნიციპალიტეტის მასშტაბით 20 ფერმერს მოწყობილი აქვს საკომპოსტე უბანი თავის ფერმაში;	2018 წელი	ქედისმუნიციპალიტეტი	არასამთავრობო ორგანიზაციები	3,000 ლარი.	ქედის მუნიციპალიტეტი
				მუნიციპალიტეტის მასშტაბით 100	2020		აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო		

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
		<p>ფერმერების ტერიტორიებზე;</p> <ul style="list-style-type: none"> სათემო საკომპოსტე უბნის მოწყობა იმ სოფლებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტ ინტერესს გამოიჩენენ ინიციატივს მიმართ (ექსპერტის ჩართულობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადგილზე ორგანული მასის საკმარისი რაოდენობა) 		ფერმერს მოწყობილი აქვს საკომპოსტე უბანი თავის ფერმაში;	წელი				
ქალაქის, მინის, მეტალისადაპლასტიკისწარმოქმნისწყა	მუნიციპალიტეტში ნარჩენების წყაროსთან	<ul style="list-style-type: none"> იმ კომანიებთან დაკავშირება და თანამშრომლობის 	მუნიციპალიტეტში ი დანერგილია და ფუნქციონირებს	ქალაქის, მინის, მეტალისა და	2020 წელი	ქედის მუნიციპა	საქართველოს გარემოსა	7,500 ლარი	ქედის მუნიციპალი

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
როსთანსეპარირები სსისტემისჩამოყალიბება 2019 წლისთვის;	სეპარაციის პრაქტიკის არსებობა.	არ	აწყომა, რომლებიც ნარჩენების შეგროვებას და/ან გადამუშავებას ახდენენ ქვეყნის მასშტაბით;	ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის პრაქტიკა.	პლასტიკის რეციკლირები სშემდეგი მინიმალური ეროვნული მაჩვენებლები ს მიღწევა:	ლიტეტი	დაბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	არასამთავრობო ორგანიზაციები	ტეტი
				<ul style="list-style-type: none"> ○ ქალაქი 30% 2020 წლისთვის; ○ მინა 20% 2020 წლისთვის; ○ მეტალი 70% 2020 წლისთვის; ○ პლასტიკი 30% 2020 წლისთვის; 			დონორები		
			<ul style="list-style-type: none"> ● ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ნაკადებზე (ქალაქი, პლასტიკი), რომლებიც გამოიყო ნარჩენების შემადგენლობის კვლევის დროს; 						

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
<p>მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისთვის;</p>	<ul style="list-style-type: none"> ინფორმაციის არქონა დინამიკაში იმის შესახებ, თუ რა ჯდება ნარჩენების შეგროვება ერთ სულ მოსახლეზე ან ერთ ტონა ნარჩენზე. შესაბამისად, არადექლარირებული; მოსახლებისათვის ნარჩენების შეგროვებისა და გატანის 	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პროცესის წახალისება და მონიტორინგი; სწორი სატარიფო პოლიტიკის შემუშავება, ხარჯებისა და ტარიფის სწორი კალკულაცია; მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება. 	<p>ეფექტიანი მომსახურების მიწოდება მოსახლეობისათვის.</p>	<p>მუნიციპალიტეტებში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისთვის;</p>	<p>2020 წელი</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტი</p>	<p>საქართველოს გარემოსდაცვითი ბიუჯეტის სამინისტრო</p> <p>აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო</p>	<p>6,000 ლარი</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.</p>

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
	<p>მომსახურების ხარჯების დაფარვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან;</p> <ul style="list-style-type: none"> ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების არაეფექტიანი სისტემა. 						ო		
<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორი დანხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისთვის;</p>	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების 60% არ მიეწოდება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება. 	<ul style="list-style-type: none"> სწორი სატარიფო პოლიტიკის შემუშავება, ხარჯებისა და ტარიფის სწორი კალკულაცია; კერძო სექტორიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება. 	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების 100% მიეწოდება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურება. 	კერძო სექტორი დანხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისთვის	2020 წელი	ქედის მუნიციპალიტეტი	არასამთავრობო ორგანიზაციები	2,500 ლარი.	ქედის მუნიციპალიტეტი.
							დონორები		
							საქართველოს გარემოსდაცვითი რესურსების დაცვის სამინისტრო		

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
-----------	------------	--------------------------------	--------	---------------------	------	--------------------------	-----------	-------------------	--------------------

							არასამთავრობო ორგანიზაციები		
							დონორები		
მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე;	<ul style="list-style-type: none"> მოსახლების დაბალი ინფორმირებულობა ნარჩენების ადამიანის ჯანმრთელობა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შესახებ; ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების საფასურის 	<ul style="list-style-type: none"> სხვადასხვა სახალისო აქტივობების/კამპანიების განხორციელება საბავშვო ბაღებსა და სკოლებში საკითხის აქტუალიზაციის მიზნით. 	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტში არ არსებობს ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილები; მოსახლეობის 30% იხდის მომსახურების გადასახადს. 	ნარჩენების შეგროვებისა და რეციკლირების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლები ს მიღწევა (იხ. ზემოთ)	2020 წელი	ქედისმუნიციპალიტეტი	არასამთავრობო ორგანიზაციები	4,000 ლარი	ქედის მუნიციპალიტეტი.
							დონორები		

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
-----------	------------	--------------------------------	--------	---------------------	------	--------------------------	-----------	-------------------	--------------------

გადახდის დაბალი მაჩვენებელი.

მუნიციპალიტეტის თანამშრომლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის არაეფექტიანი მომსახურების მიწოდება.

- მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე დასწრების წახალისება და უზრუნველყოფა;
- სულ მცირე 3 კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე თანამშრომლების დასწრების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის მიერ (შესაბამისი შესაძლებლობების მოძიება მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და აქ არსებული საწარმოებისათვის ეფექტიანი მომსახურების მიწოდება.

ნარჩენების შეგროვებისა და რეციკლირების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლები (იხ. ზემოთ)

2020 წელი

ქედის მუნიციპალიტეტი

საქართველოს გარემოსდაცვითი რესურსების დაცვის სამინისტრო

1,500 ლარი

აჭარის ა.რ. გარემოსდაცვის სამმართველო

არასამთავრობო

ქედის მუნიციპალიტეტი

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
-----------	------------	--------------------------------	--------	---------------------	------	--------------------------	-----------	-------------------	--------------------

ს კადრების განყოფილების მიერ).

ორგანიზაციები

დონორები

დანართი 1.

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის
იურიდიული პირების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის

№	იურიდიული პირები, ორგანიზაციები, დაწესებულებები	ზომის ერთეული „კ“	ნარჩენების წლიურ იდაგროვების ნორმ ამ ³ (N)	მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი) (M)
1	2	3	4	5
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	საერთო ფართის 1 მ ²	0.040	0.05
2	ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	საერთო ფართის 1 მ ²	0.600	0.82
3	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	საერთო ფართის 1 მ ²	0.200	0.27
4	სკოლები, ინსტიტუტები, კოლეჯები	ერთი სული	0.07	0.10
5	კონოთეატრები და თეატრები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0.400	0.55
6	საბავშვო ბაგა-ბაღები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	ერთი სული	0.200	0.27
7	სასტუმროები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	ერთი საწოლი	2.000	2.75
8	საავადმყოფოები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	ერთი საწოლი	0.309	0.42
9	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	საერთო ფართის 1 მ ²	0.14	0.19

10	სტადიონები, სპორტულ გამაჯანსაღებელი ტერიტორიები და მანეჟები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	ღია ფართის 1 მ ²	0.020	0.027
		დახურული ფართის 1 მ ²	0.1	0.14
11	სასურსათო საქონლის მაღაზიები (სავაჭრო დარბაზი)	სამუშაო ფართის 1 მ ²	0.15	0.21
		დახურული ფართის 1 მ ²	0.1	0.14
12	სამრეწველო საქონლის მაღაზიები და აფთიაქები (სავაჭრო დარბაზი)	სამუშაო ფართის 1 მ ²	0.18	0.25
	შერეული საქონლის მაღაზიები	სამუშაო ფართის 1 მ ²	0.17	0.23
14	ყვავილების ღია დახურული მაღაზიები	სამუშაო ფართის 1 მ ²	0.320	0.44
16	შერეული საქონლის ბაზრობები	ერთი ადგილი	0.240	0.33
	შერეული საქონლის ბაზრობები	დახურული ფართის 1მ ²	0.029	0.04
17	ავტოსადგომები	ღია ფართის 1 მ ²	0.020	0.027
		დახურული ფართის 1 მ ²	0.160	0.22
18	საწყობები პირდაპირი მიყიდვის გარეშე (გარდა სავაჭრისა პროდუქციის ხანგრძლივი შენახვის დროით)	ღია ფართის 1 მ ²	0.020	0.027
		დახურული ფართის 1 მ ²	0.160	0.22
	ავტოგასამართი	საერთო ფართის 1 მ ²	0.12	0.16
19 20	მანქანის საჩვენებელი და გასაყიდი ნაგებობები	ღია ფართის 1 მ ²	0.080	0.11
		დახურული ფართის 1 მ ²	0.160	0.22
	ა/მანქანების სარემონტო სადგურები, ტექ. მომსახურების ადგილები	ღია ფართის 1 მ ²	0.040	0.05
		დახურული	0.160	0.22

		ფართის 1 მ ²		
21	აბანოები, საუნები	საერთო ფართის 1 მ ²	0.320	0.44
22	სადალაქოები და სილამაჯის სალონები	საერთო ფართის 1 მ ²	0.440	0.6
	მცირე სამეწარმეო საქმიანობის შენობის შიგნით იმდინარე წარმოებისას, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	საერთო ფართის 1 მ ²	0.18	0.25
23	რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0.40	0.55
24	საბანკეტო დარბაზები, სარიტუალო მომსახურებისთვის	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0.04	0.05
25	საცხოვრებელი	სამუშაო ფართის 1 მ ²	0.18	0.25
26	კაზინოები, ტოტალიზატორები, სათამაშო და გასართობი ცენტრები	საერთო ფართის 1 მ ²	1.00	1.37
	დისკოთეკები, ღამის კლუბები	საერთო ფართის 1 მ ²	0.360	0.49
	საავტომობილო სადგურები	ღია ფართის 1 მ ²	0.020	0.027
		დახურული ფართის 1 მ ²	0.160	0.22
	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბალები, ატრაქციონები	საერთო ფართის 1 მ ²	0.020	0.027
	სამხედრო ნაწილები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება)	ერთი ადგილი	0.600	0.82
27	საწარმო ობიექტების ღია ტერიტორიები, სადაც მიმდინარეობს საწარმოო პროცესი	საერთო ფართის 1 მ ²	0.020	0.027
	სერიული პროდუქციის საწარმოს შენობა ნაგებობები (საწარმოო	საერთო ფართის 1 მ ²	0.520	0.71

ნარჩენების გარდა)			
-------------------	--	--	--

მოსაკრებლის განაკვეთი თვეში (M) გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით $M=N \times C \times K: 12$

N - ნარჩენების დაგროვების ნორმატივი წელიწადში

C - ღირებულება 1მ3 ნარჩენების გატანაზე,=16.48 ლარი

K- ზომის ერთეულის (დაკავებული ფართი, მომხმარებელთა რაოდენობა, ადგილი, საწოლიდა ა.შ.).